

ქალაქ ქუთაისში, მ.ჭავჭავაძის ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის  
N79 ბინაზე, მოქალაქე ნაგალია ლოლობერიძისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამი განხილული იქნა მ.ჭავჭავაძის ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის N79 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ნაგალია ლოლობერიძის წარმომადგენლის მარინე ლორთქიფანიძის განცხადება /2012 წლის 29.11 Nლ-9877/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მღებარე ქალაქ ქუთაისში, მ.ჭავჭავაძის ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის N79 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე ნაგალია ლოლობერიძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, მ.ჭავჭავაძის ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის N79 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნაგალია ლოლობერიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, მ.ჭავჭავაძის ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის N79 ბინაზე /საერთო ფართობი 72,01 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 46,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 23,51 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 2,50 კვ.მ./ მოქალაქე ნაგალია ლოლობერიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რაგინმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე